581/3-113/22 2 24012022

581/3-113/22
24-01-2022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
მამუკა წოწერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

როგორც თქვენთვის ცნობილია 2020 წლის ივლისში დაიწყო ყინულის მოედნის დემონტაჟის პროცესი, მოედნის დემონტაჟი კი მას მერე გახდა საჭირო, რაც ტერიტორია, სადაც იგი იყო განთავსებული, აუქციონზე გაიყიდა.

- ყინულის მოედნის მიმდებარე ტერიტორია 2019 წლის ივნისში გაიყიდა. ფართობი 7 მილიონ 270 ათას 118 ლარად, კომპანია მ2-მა შეიძინა. ელექტრონული აუქციონის პირობების თანახმად, უნდა განხორციელებულიყო 8 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიცია. კერძოდ, იგეგმებოდა 80 ნომრიანი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. მყოფი სასტუმროების მშენებლობა. შესაბამისად გთხოვთ გვაცნობოთ რა ეტაპზეა სასტუმროს მშენებლობა და ასრულებს თუ არა კომპანია „მ2“ ნაკისრ ვალდებულებებს.
- როგორც ჩემთვის ცნობილია ყინულის მოედანი სხვა ტერიტორიაზე - ყოფილი “კომკავშირის პარკში” უნდა აშენებულიყო. ხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ გვაცნობოთ, როდის დაიწყო ან იგეგმება მშენებლობის დაწყება და მისი ზუსტი ღირებულება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე

წერილის ნომერი: **24-242202556**
თარიღი: **25/01/2022**
პინი: **1754**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 24 იანვარს შემოსული თქვენი 581/3-113/22 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჭიროებს დამუშავებას, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს.

აქედან გამომდინარე, თქვენს წერილზე პასუხი გეცნობებათ 10 დღის ვადაში ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-40 მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი